საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მარიკა არევაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარინე ცუცქირიძე - კოლეგიის წევრი

ინგა ნებიერიძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: გ. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 04.03.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 019/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ პ. შ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ პ. შ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2022 წლის 4 მარტს საჩივრით მომართა გ. კ.-მა და მოითხოვა ადვოკატ პ. შ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტების თანახმად, ის დასაქმებულია სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სასამართლო წარმომადგენლობის და აღსრულების სამმართველოს უფროსის პოზიციაზე, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების სააგენტოში. ადვოკატი პ. შ. ბავშვის ადვოკატის სტატუსით ჩაერთო საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში, რომელიც მიმდინარეობდა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს აჭარის რეგიონალურ ცენტრში 2022 წლის პირველ მარტს. საჩივრის ავტორის განმარტების თანახმად, ის აღნიშნულ სააღსრულებო პროცესში უშუალო მონაწილეობას არ იღებდა, რადგან ეს არ

შედის მის სამსახურებრივ ვალდებულებებში, თუმცა ის კონსულტაციას უწევდა აღსრულების პროცესში ჩართულ პირებს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულდა 2022 წლის პირველ მარტს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2022 წლის 2 მარტს, ადვოკატმა პ. შ.-მ, სოციალურ ქსელ Facebook-ის პირადი გვერდის მეშვეობით, გამოაქვეყნა მისი ფოტო (რომელიც საჯარო სივრცეში მისი ნებართვის გარეშე მოხვდა) შემდეგი წარწერით: ,,გაიცანით! გამოქლიავებული გ. კ. ეს! იუვენალური იუსტიციის პირწავარდნილი მამა საქართველოში! ნახეთ, მის სახეს შეხედეთ! ეს მტაცებელი ნადირ-ხვლიკი ესა! ციხეში!! ეს ვირთხა!! აბა უთხარი საზოგადოებას გულწეფელად! რამდენი ბავშვის, რამდენი გამწარებული მშობლის ცრემლია შენს კისერზე შე არაკაცო!!“.

1.4 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატ პ. შ.-ის აღნიშნული პოსტი მის მიმართ იყო შეურაცხმყოფელი და გამოხატავდა უპატივცემულობას, რაც წარმოადგენს არაკოლეგიალურ ქმედებას.

1.5 2022 წლის 12 აპრილის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დაადასტურა საჩივარში მითითებული გარემოებები, ხოლო 2022 წლის 17 მაისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დამატებით განმარტა, რომ 2022 წლის 1 მარტს ჩანიშნული იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების დღე. საქმე უკავშირდებოდა რუსეთის ფედერაციაში ბავშვის დაბრუნებას. ამ დღეს, ბავშვის ადვოკატად საქმეში ადვოკატად ჩაერთო პ. შ., კონკრეტული ორდერის საფუძველზე. აღსრულება მიმდინარეობდა აჭარის რეგიონში, მათი ტერიტორიული ერთეულის შენობაში. ადვოკატს უარი ეთქვა მონაწილეობა მიეღო აღსრულების პროცესში, ფსიქოლოგის რეკომენდაციის საფუძველზე. გადაწყვეტილება იმავე დღეს აღსრულდა. მომჩივანი განმარტავს, რომ ის უშუალოდ ჩართული არ ყოფილა ამ გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში, თუმცა, ყველა გახმაურებული და რთული საქმის შემთხვევაში, მასთან გადიან კონსულტაციას. ამ საქმეშიც მისი ჩართულობა ამით შემოიფარგლა.

1.6 მომჩივანის განმარტებით, მამის მხარის ადვოკატებმა გ. დ.-მ და ი. მ.-მ 11 თებერვალს მასზე გაავრცელეს ვიდეო მიმართვა, ორგანიზაცია „ა. ა.“ ჩართულობით. სადაც ამბობდნენ, რომ „გ. კ.- მა გააყალბა სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი“. ამავე საქმეზე, სანამ სააღსრულებო გადაწყვეტილება დადგებოდა, 11 თებერვალს იყვნენ უზენაესი სასამართლოს სხდომაზე, სადაც განიხილებოდა დასაშვებობის საკითხი ზეპირი მოსმენით, zoom-ის პლატფორმით. სხდომის მიმდინარეობისას მას გაუჩნდა განცდა, რომ ადვოკატმა გ. დ.-მ გადაუღო ფოტო. ეს ფოტო არის ზუსტად ის ფოტო, რომელიც შემდეგ გაასაჯაროვა ადვოკატმა პ. შ.-მ. საქმეზე დაინიშნა ზეპირი განხილვა, სადაც მონაწილეობა აღარ მიუღია მომჩივანს და დადგა შედეგი. აღსრულების პროცესი მიმდინარეობდა დაახლოებით 12:00-17:00 საათამდე. ადვოკატ პ. შ.-ს ამ პერიოდში აქვს ამოწერილი ორდერი. ოქმს აწერია ის თარიღი, როცა აღსრულების მოქმედება დაიწყო.

1.7 მომჩივანის პოზიციით, მის მიერ გამოგზავნილ ფოტოს ზემოთ ნაწილში მითითებულია მისამართი ციფრებით, ეს მისამართი ემთხვევა ადვოკატ პ. შ.-ის ექაუნთს და ამით დასტურდება პოსტის ადვოკატ პ. შ. -ისადმი კუთვნილება.

2. საჩივრის ავტორის მოწმე ნ. წ.:

2.1 საპროცესო კოლეგიის 2022 წლის 10 მაისის სხდომაზე საჩივრის ავტორის მოწმემ, ნ. წ.-მ, განმარტა, რომ მას გ. კ. -თან აკავშირებს სამსახურებრივი ურთიერთობა, იგი დასაქმებულია სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სასამართლო წარმომადგენლობის და აღსრულების სამმართველოში, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების სააგენტოში, რომელიც კურირებს იმერეთის რეგიონს.

2.2 მოწმემ განმარტა, რომ მას სოციალურ ქსელ „Facebook"-ზე „მეგობრებში" ჰყავს ადვოკატი გ. დ. და რადგანაც ადვოკატ პ. შ.-ის აღნიშნულ პოსტზე ადვოკატი გ. დ. მონიშნული იყო, მისთვის ხილვადი გახდა აღნიშნული პოსტი, რის შემდეგაც მან პოსტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა გ. კ.-ს და გადაუგზავნა პოსტის სქრინი, ერთ გვერდი, სადაც გამოსახული იყო გ. კ. -ის ფოტო და ტექსტის ნაწილი.

2.3 მოწმის განმარტების თანახმად, აღნიშნული პოსტის ნახვის შემდეგ, მან დაათვალიერა ადვოკატ პ. შ.-ის „Facebook"-ის პროფილი, რომლის მეშვეობითაც მოხდა პოსტის გასაჯაროვება და ეჭვი არ გასჩენია, რომ აღნიშნული პროფილი არ ეკუთვნოდა პ. შ.-ს, რადგან პროფილზე განთავსებული იყო პ. შ.-ის პირადი, ოჯახური ფოტოები.

2.4 მოწმე განმარტავს, რომ აღნიშნული პოსტი არ წარმოადგენს გ. კ.-ის პროფესიულ შეფასებას, ეს არის პირადი შეურაცხყოფა და არ ექცევა საჯარო მოხელის თმენის ვალდებულების ფარგლებში.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 ადვოკატმა პ. შ.-მ კომისიას განმარტება წარმოუდგინა 2022 წლის 14 მარტს; 21 აპრილს; 07 ივნისს და მიუთითა, რომ სადავო პოსტი სოციალურ ქსელ „Facebook"-ზე მის მიერ არ გამოქვეყნებულა და საქმეში არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც საწინააღმდეგოს დაამტკიცებს.

3.2 ადვოკატის განმარტებით, ის არ მონაწილეობდა საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში, რომელიც მიმდინარეობდა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს აჭარის რეგიონულ ცენტრში, 2022 წლის პირველ მარტს. 2022 წლის პირველი მარტს სააღსრულებო წარმოების ოქმში, მისი, როგორც ვ. ს-შ. ადვოკატის სახელი და გვარი არ ფიგურირებს. ადვოკატ პ. შ.-ის განმარტებით, არასრულწლოვანის მამას სურდა, რომ ის ყოფილიყო არასრულწლოვანის ადვოკატი, თუმცა ეს ვერ მოხერხდა.

3.3 ადვოკატი პ. შ. განმარტავს, რომ გ. კ.-ს არ იცნობს და არასდროს მიუღია მონაწილეობა სასამართლო პროცესში, სადაც გ. კ. რაიმე სტატუსით, იღებდა მონაწილეობას. ამასთანავე, თავად საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ ის უშუალოდ არ მონაწილეობდა სააღსრულებლო პროცესში, აქედან გამომდინარე გ. კ.-ის მიერ წარდგენილი საჩივარი არ უნდა შეფასდეს, რადგან გ. კ. მისი არც კოლეგაა, არც საპროცესო მხარე. ადვოკატ პ. შ.-ის განმარტებით, მას გ. კ.-ის მიმართ პროფესიული ვალდებულებები არ აკისრია და შესაბამისად, გ. კ. არის არაუფლებამოსილი განმცხადებელი.

3.4 2022 წლის 12 აპრილს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დაადასტურა წერილობით განმარტებაში მითითებული პოზიცია.

4. ადვოკატის მოწმის გ. დ. -ის ახსნა-განმარტება:

4.1 2022 წლის 14 ივნისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატის მოწმემ, ადვოკატმა გ. დ.-მ განმარტა, რომ წარმოადგენს ს. ს.-ის ინტერესებს ადვოკატ ი. მ.-სთან ერთად, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის საქმეში. სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში, ის სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს აჭარის ა/რ რეგიონული ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში მივიდა ს. ს.-თან და მის 6 წლის შვილთან ერთად და იკითხა ბავშვი რომელ ოთახში უნდა შეეყვანათ, სად იმუშავებდა ფსიქოლოგი, რათა ხელი შეეწყოთ გადაწყვეტილების აღსრულებისათვის და ბავშვის დაბრუნება რუსეთის ფედერაციაში მომხდარიყო ბავშვისთვის უმტკივნეულოდ.

4.2 გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში, ს. ს.-ს სურდა, რომ ბავშვის ადვოკატად საქმეში ჩართულიყო ადვოკატი პ. შ. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს აჭარის ა/რ რეგიონული ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში კონფლიქტის შემდეგ, ს. ს.-ის სურვილის საფუძველზე, ადგილზე მივიდა პ. შ. და ამოწერა ორდერი. თუმცა, ადვოკატი პ. შ. პოლიციის თანამშრომლებმა არ შეუშვეს შენობაში და ადვოკატი გ. დ. თვლის, რომ ადვოკატმა პ. შ.-მ ამ გარემოების გამო ბავშვის უფლებების დაცვა ვერ განახორციელა.

4.3 მოწმის განმარტებით, ადვოკატ პ. შ.-ესთან ერთად გენერალურ პროკურატურას მიმართეს ერთობლივი განცხადებით, რომ სააგენტოს შენობაში ხელი შეეშალათ საადვოკატო საქმიანობაში.

4.4 მოწმის განმარტებით, ამ კონკრეტულ საქმეში ადვოკატი პ. შ. და გ. კ. პროცესზე მხარეებს არ წარმოადგენენ.

4.5 მოწმის განმარტებით, მას არ ახსოვს ადვოკატ პ. შ.-ის მიერ დაწერილი პოსტი გ. კ.-თან მიმართებით.

5. ადვოკატის მოწმის ი. მ. -ის ახსნა-განმარტება:

5.1 2022 წლის 17 მაისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოწმემ, ადვოკატმა ი. მ.-მ განმარტა, რომ იცავს ს. ს.-ის ინტერესებს. ადვოკატი პ. შ. საქმეში ჩართული არ ყოფილა როგორც ადვოკატი, რადგან ამის შესაძლებლობა არ მიეცა - არ შეუშვეს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს აჭარის ა/რ რეგიონული ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში ბავშვის უფლებების დასაცავად.

5.2 მოწმემ ისაუბრა გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში, პოლიციის შენობაში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით და განმარტა, რომ განცხადებით მიმართა გენერალურ პროკურატურას ადვოკატ პ. შ.-სთან და ადვოკატ გ. დ.-სთან ერთად.

5.3 მოწმის განმარტებით, მას პოსტის გამოქვეყნება არ უნახავს, არ არის სოციალურ ქსელში აქტიური.

IV სამოტივაციო ნაწილი

6. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

6.1 ადვოკატი პ. შ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი, დამატებითი სპეციალიზაცია - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება; ბავშვთა უფლებები (სამოქალაქო).

6.2 გ. კ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2022 წლის 4 მარტს.

6.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2022 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

7. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ პ. შ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

8. სამართლებრივი შეფასება:

8.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა პ. შ.-მ სოციალურ ქსელ „Facebook“-ის პირად გვერდზე გამოაქვეყნა მისი ფოტო, შეურაცხმყოფელი პოსტით:

„გაიცანით! გამოქლიავებული გ. კ. ეს! იუვენალური იუსტიციის პირწავარდნილი მამა საქართველოში! ნახეთ, მის სახეს შეხედეთ! ეს მტაცებელი ნადირ-ხვლიკი ესა! ციხეში!! ეს ვირთხა!! აბა უთხარი საზოგადოებას გულწრფელად! რამდენი ბავშვის, რამდენი გამწარებული მშობლის ცრემლია შენს კისერზე შე არაკაცო!!“.

8.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ პ. შ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

8.2.1 საადვოკატო საქმიანობის პრინციპი: „ადვოკატის კეთილსინდისიერება, კარგი რეპუტაცია და იურიდიული პროფესიის პატივისცემა“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 3 „დ“ მუხლი).

8.2.2 ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 5 „გ“).

8.3 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა მოპასუხე ადვოკატის, პ. შ.-ის პოზიციაზე იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო საქმის ფარგლებში, გ. კ. არაუფლებამოსილი განმცხადებელია.

8.4 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით განსაზღვრულია საჩივრის შემოტანაზე უფლებამოსილ პირთა წრე. კონკრეტულად, დებულების მე-6 მუხლის თანახმად, დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა; ბ) ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის წევრის, სარევიზიო კომისიის მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე.

8.5 საპროცესო კოლეგიამ დაადგინა, რომ გ. კ. დასაქმებულია სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სასამართლო წარმომადგნლობის და აღსრულების სამმართველოს

უფროსის პოზიციაზე, აღნიშნულმა ორგანომ განახორციელა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილების N აღსრულება. ადვოკატმა პ. შ.-მ საქმეში საადვოკატო საქმიანობა ვერ განახორციელა. აღნიშნული საქმის ფარგლებში გ. კ. წარმოადგენს საქმის მწარმოებელი ორგანოს ხელმძღვანელს, რომლის მიმართაც ყველა ადვოკატს მოეთხოვება პროფესიული სტანდარტის დაცვა (დებულება, მუხლი 6.გ).

8.6 კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებზე, მათ შორის, სოციალურ ქსელში და მიუთითა პრაქტიკაზე:

8.7 ადვოკატი სარგებლობს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით, თუმცა გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და თავად კონსტიტუცია განსაზღვრავს პირის მიერ ამ უფლებით სარგებლობის ფარგლებს (ეთიკის კომისიის 30.01.2019 წლის გადაწყვეტილება, საქმე №033/19, 5.2).

8.8 ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება. ადვოკატის ყველა მოქმედება უნდა შეესაბამებოდეს ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის მოთხოვნებს. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მნიშვნელოვან როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. აღნიშნული პროფესიული სტანდარტების გათვალისწინებით ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება. ადვოკატი სარგებლობს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით, თუმცა გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და თავად კონსტიტუცია განსაზღვრავს ადამიანის ამ უფლებით სარგებლობის ფარგლებს (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 06.10.2017, დისციპლინური საქმე 104/16).

8.9 ეთიკის კოდექსით მოთხოვნილი მაღალი ზნეობრივი სტანდარტის დაცვა პროფესიის კორპორატიულ მიზანს ემსახურება. ეთიკური ვალდებულებების მიზანი არ არის მხოლოდ კონკრეტული ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის მოწესრიგება, არამედ ისწრაფვის ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცებისაკენ (ეთიკის კომისიის 27.01.2014 წლის გადაწყვეტილება საქმე 047/13).

8.10 „ადვოკატთა ეთიკის კოდექსის მიზანია ნდობის წარმოშობა არა მხოლოდ კონკრეტული ადვოკატის, არამედ მთლიანად ადვოკატთა კორპუსის მიმართ, რაც განისაზღვრება არა მხოლოდ ადვოკატის ქცევით კონკრეტული პროფესიული დავალების განხორციელებისას, არამედ მისი ქცევით ყოველდღიურად კლიენტებთან, კოლეგებთან, საქმის მწარმოებელ ორგანოებთან თუ პროცესის მონაწილეებთან ურთიერთობაში, ვინაიდან ადვოკატისთვის მისი პროფესია არის ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელი და თანამდევი ნაწილი“ (ეთიკის კომისიის 2019 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N115/18).

8.11 „ადვოკატმა ნებისმიერ მდგომარეობაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას“ (ეთიკის კომისიის 2014 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N114/13).

8.12 კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ სოციალურ ქსელში მოქმედება უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს მას, როგორც მისი პროფესიის გამომხატველს. ადვოკატი არამხოლოდ კლიენტებთან, სასამართლო დარბაზში, არამედ, მის გარეთ, მათ შორის სოციალურ ქსელში აზრის გამოხატვისას ვალდებულია დაიცვას პროფესიული ღირსება და გამოხატოს აზრი იმგვარად, როგორც შეეფერება მას, როგორც მართლმსაჯულების განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლის მქონე პიროვნებას.

8.13 ადვოკატის მიმართ არსებული მაღალი პროფესიული სტანდარტი ადვოკატს არ ათავისუფლებს ეთიკური სტანდარტების დაცვისგან, როდესაც ის სოციალურ ქსელში გამოხატავს მოსაზრებებს. ადვოკატმა უნდა გააცნობიეროს ეთიკური ღირებულებების, როგორც მისი თვითბოჭვის მნიშვნელობა.

8.14 კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატს ევალება დაიცვას პატივისცემის ვალდებულება, როდესაც ის აფასებს პროცესის მწარმოებელი ორგანოს კონკრეტულ თანამდებობის პირს.

8.15 კოლეგიამ შეაფასა სადავო პოსტში მითითებული ფრაზეოლოგია: *„გაიცანით! გამოქლიავებული გ. კ. ეს! იუვენალური იუსტიციის პირწავარდნილი მამა საქართველოში! ნახეთ, მის სახეს შეხედეთ! ეს მტაცებელი ნადირ-ხვლიკი ესა! ციხეში!! ეს ვირთხა!! აბა უთხარი საზოგადოებას გულწეფელად! რამდენი ბავშვის, რამდენი გამწარებული მშობლის ცრემლია შენს კისერზე შე არაკაცო!!“.* კოლეგიის შეფასებით, აღნიშნული შეფასების კონტექსტი სცდება გამოხატვის თავისუფლებით დადგენილ ფარგლებს და წარმოადგენს არა მძაფრ კრიტიკას, არამედ პიროვნების შეურაცხყოფას.

8.16 განსახილველ შემთხვევაში სადავოა პოსტის კუთვნილება ადვოკატ პ. შ.-ისადმი.

8.17 საპროცესო კოლეგია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2b/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“ ამასთან, სსსკ-ის 102.1 მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

8.18 კოლეგია განმარტავს, რომ სადავო პოსტის ადვოკატ პ. შ.-ისადმი კუთვნილების ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრება მომჩივანს. სადავო პოსტი ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. მომჩივანის მიერ წარმოდგენილი ფოტოს მეშვეობით დგინდება, რომ აღნიშნული პოსტი 2 მარტს სოციალურ ქსელში განთავსდა პროფილიდან, რომლის დასახელებშიც მითითებული იყო პ. შ.-ის სახელი და გვარი, თუმცა რამდენად ეკუთვნოდა აღნიშნული პროფილი მოპასუხე ადვოკატს, ფოტოდან არ დგინდება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტებას ასევე აკეთებს საჩივრის ავტორის მოწმე, ნ. წ., რომელიც აღნიშნავს, რომ მან პოსტის ნახვის შემდეგ დაათვალიერა პროფილი საიდანაც მოხდა პოსტის გასაჯაროვება და ეჭვი არ გასჩენია, რომ აღნიშნული პროფილი ეკუთვნოდა მოპასუხე ადვოკატს, რადგან პროფილზე განთავსებული იყო ადვოკატის პირადი ფოტოები. თავის მხრივ, მოპასუხე ადვოკატის მიერ წარმოდგენილი ორი მოწმე არ ადასტურებს, რომ სადავო პოსტი ეკუთვნის ადვოკატ პ. შ.-ს. აქედან გამომდინარე,

საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან არ დგინდება, რომ აღნიშნული პოსტი სოციალურ ქსელში განთავსებული იყო მოპასუხე ადვოკატის, პ. შ.-ის მიერ. შესაბამისად, არ არსებობს საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და ადვოკატ პ. შ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 3 (დ) და 5 (გ) მუხლების საფუძველზე.

8.19 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N019/22 ადვოკატ პ. შ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/